პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№76 (5106) 17

ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ADGILI MSOFLIOSHI

ბრძენს უთქვამს, მონდომება ყველაზე დიდი ნიჭიაო. ეს სიტყვები შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ერთი ცხადია: უნიჭო კაცს არც ნებისყოფა აქვს და არც მონდომება. განა იშვიათია, როცა რომელიმე სპორტსმენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და მის უტყუარ ნიჭზეც ბევრს მსჯელობენ. გაჭიხდება ხანი და ვუნდერკინდი უკვალოდ დაიკარგება. და ბოლოს, იწყება გაუთავებელი დავა-კამათი: იყო თუ არა სპორტსმენი ნიჭიერი? ეს მართლაც ძნელი გასაგებია, რადგან ჯერჯერობით ისეთი მანქანა არავის შეუქმნია, ნიჭი და უნიჭობა რომ განსაზღვროს. დავის ბოლო აკორდი კი ის გახლავთ, რა გააკეთა ამა თუ იმ სპორტსმენმა, რით გამოიჩინა თავი, რით ასახელა თავისი ერი. დიახ, მთავარი ისაა, რა გააკეთე და არა ის, რის გაკეთება შეგეძლო.

არცთუ იშვიათია სპორტში ისეთი შემთხვევა, როცა ახალბედას თითქოს განსაკუთრებული მონაცემები არ გააჩნია, მაგრამ ბოლოს სწორედ ის გადის დიდ სარბიელზე, სპორტის მოყვარულებსაც ახარებს და აღმზრდელსაც.

რამდენიმე წლის წინათ ფარიკაობის სპეციალისტებისთვის რომ გეკითხათ, ავთანდილ კიკნაძე მომავალში დიდი სპორტსმენი გახდება თუ არაო, ვეჭვობთ, ვინმეს გაეცა ამ მაცდურ შეკითხვაზე დადებითი პასუხი. შესაშურმა მონდომებამ, მიზანსწრაფვამ და ფარიკაობის ტრფიალმა კიკნაძე საკმაოდ ღონიერ „მუშკეტერად“ აქცია. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 18 წლის სპორტსმენმა ზედიზედ ორჯერ მოიპოვა იუნიორთა საკავშირო პირველობის ოქროს მედალი. ეს კი იოლი საქმე არ გახლავთ.

ახლა კი სტამბულში დამთავრებულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში ახალგაზრდა ესპადრონისტმა ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი.

ა. გურული.

სურათზე: ა. კიკნაძე.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ...

ᲗᲘᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲒᲐᲛᲝᲚᲔᲑᲘᲗ...

გურჯაანის კულტურის სახლში მოეწყო საქართველოს იუნიორთა პირად-გუნდური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობის სტარტზე გამოვიდა 10 გუნდი. სამწუხაროდ, სარბიელზე ამჯერადაც ვერ ვიხილეთ ბევრი იმ რაიონის სპორტსმენები, სადაც ქართული ჭიდაობა მუდამ პოპულარული იყო. მხედველობაში მაქვს ახმეტის, გარდაბნისა და კასპის რაიონები, აგრეთვე, ქალაქი რუსთავი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები.

შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა და, ცხადია, მრავალრიცხოვანი მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა.

გუნდური პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის ნაკრებმა დაისაკუთრა. გამარჯვებულს ოდნავ ჩამორჩა ქალაქ გორის გუნდი. III ადგილი გორის რაიონის მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. შემდეგ მოდიან გურჯაანისა და ყვარლის რაიონების მოჭიდავენი.

განსაკუთრებით გაგვახარა ყვარლელთა გამოსვლამ. ისინი კარგად იყვნენ მომზადებული ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც, იბრძოდნენ შთაგონებით, თავგამოდებით. სხვათა შორის, მსაჯთა კოლეგიამ ყველაზე აგრესიულ მოჭიდავედ სწორედ ყვარლელი ნ. ჯოხაძე მიიჩნია და მას გურჯაანის სპორტკომიტეტის მიერ დაწესებული პრიზი გადასცა. მეორე პრიზი, რომელიც დაწესებული იყო ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის, გორელმა ფ. ვალიევმა მიიღო.

გაგაცნობთ ჩემპიონებს: ბ. გულიაშვილი (თბილისი), ფ. ვალიევი (გორი), დ. ბადრიაშვილი (გურჯაანი), ზ. კაბულაშვილი (გორი), მ. ალბორიშვილი, ფ. ხანგოშვილი, ო. ლომიძე, გ. ქევხიშვილი (ყველა — თბილისი).

ჟ. ნინიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გურჯაანი.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲥᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲥᲖᲔ

ედანოვში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ჭაბუკთა საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოდან ამ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის ათლეტები (მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი და ბ. ბიბილაშვილი).

პირად ჩათვლაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს მოჭიდავეები ი. შახნაზაროვი (56 კგ), გ. მაქაცარაშვილი (65 კგ), ვ. გიგაური (70 კგ) და ს. ბუჯიაშვილი (მძიმე), მათ I ადგილები ხვდათ.

II ადგილი დაისაკუთრა გ. მეტრეველმა (75 კგ), ხოლო III ადგილებზე გავიდნენ თ. შიშინაშვილი (70 კგ) და მ. ზებედაშვილი (87 კგ).

დაკომპლექტდა ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდი, რომელშიც მოხვდნენ შახნაზაროვი, მაქაცარაშვილი, ბუჯიაშვილი, მეტრეველი და გიგაური.

გ. ამირხანოვი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ამიერკავკასიის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპორტული სკოლის გახსნიდან ჯერ ერთი წელიც არ გასულა, მაგრამ მისმა მოსწავლეებმა უკვე რამდენიმე საკავშირო შეჯიბრებაში მოიპოვეს აღიარება. ერთი ასეთი ასპარეზობა იყო „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა კიევში.

ამიერკავკასიიდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მხოლოდ ორი სპორტსმენი: თბილისელი გ. ქუჯაშვილი (მწვრთნელი ვ. ზამთარაძე) და ქუთაისელი ე. ჩუბინიძე (მწვრთნელი ა. დათეშიძე). ჩვენი სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა ჯაც წარმატებით იასპარეზეს და ორივემ ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.

ქართველმა ჭაბუკებმა ამ გამარჯვებით „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში მოიპოვეს ადგილი. მალე ისინი პროფკავშირთა საკავშირო შეჯიბრებაში დაიცავენ რკინიგზელთა სპორტულ ღირსებას.

აღსანიშნავია, რომ ქუჯაშვილი და ჩუბინიძე ამ სპორტსკოლიდან საკავშირო შეჯიბრების პირველი ჩემპიონები არიან კლასიკურ ჭიდაობაში.

თ. თენგოშვილი.

ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲓᲘ ᲐᲥᲕᲘᲜᲔᲑᲗ

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თბილისის 61-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივს, რა თქმა უნდა, ეამაყება, რომ მისი კალათბურთელები თ. ქავთარაძე, გ. შავგულიძე, ჯ. ვერულაშვილი და გ. ბაბუნაშვილი ორჯონიკიძის რაიონის ნაკრებ გუნდში მიიწვიეს. ამ გუნდმა თბილისის პირველობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

სკოლას სხვა სახეობებშიც ჰყავს სასახელო სპორტსმენები, მაგალითად, მოსწავლეთა შორის საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი გ. ზუმბულიძე, ფეხბურთელთა რაიონული გუნდის მოთამაშეები თ. ალექსიძე, მ. კოსტავა და ა. მოთაიშვილი.

ეს წარმატებები მოპოვებულია სკოლაში მონდომებული სპორტული საქმიანობით. აქ მუშაობს კალათბურთის, ფრენბურთის, მხატვრული ტანვარჯიშის, ჭადრაკისა და სროლის სექციები. შედეგები ალბათ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი სპორტული დარბაზი რომ ჰქონდეთ.

მოსწავლეებმა კარგად ჩაბარეს მშდ კომპლექსის ნორმატივები რბენაში, ხტომაში, ბურთის ტყორცნაში. გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული ნორმატივების ჩაბარება კროსში, ცურვასა და ტურიზმში. ამ გაზაფხულზე მოსწავლეები ბეთანიაში ავლენ, კროსსაც გამართავენ, მაგრამ აუზის უქონლობა აფიქრებთ.

სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებლები ზ. ჭანუყვაძე, გ. ბეთანიშვილი, ზ. ზაქაიძე, ა. თუნთია და კალათბურთელთა მწვრთნელი ი. ყანჩაველი არ იშურებენ დროსა და შრომას, რომ სპორტმა დაამშვენოს მოსწავლეთა ყოველდღიური ცხოვრება.

ურიგო არ იქნებოდა, ჭადრაკს მეტი ყურადღება რომ ექცეოდეს. ეს ამ სკოლის აღზრდილს, მსოფლიო პირველობის ერთ-ერთ პრეტენდენტს, საერთაშორისო ოსტატ ნ. ალექსანდრიასაც გაახარებდა.

61-ე სკოლის ფიზკულტურელებს სიძნელეებიც ხვდებათ, მაგრამ ეს გულს როდი უტეხთ.

მაია რუსაძე.

HELSINKI 5-20.4.1974

6:1

კელსინკი, 15 აპრილი. დღეს გამართული ერთი მატჩის შესახებ (შვეცია — ჩეხოსლოვაკია 3:0) უკვე ვიტყობინებოდით, ახლა კი მეორე მატჩზე გიამბობთ.

საბჭოთა ჰოკეისტებმა ჩემპიონატის მასპინძლებთან — ფინელებთან შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარეს და გაიმარჯვეს კიდეც — 6:1 (3:0, 0:0, 3:1). პირველი გოლი მე-5 წუთზე გაიტანა საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა მიხაილოვმა, ხოლო მე-12 წუთზე ლიაპკინმა ორამდე გაზარდა ანგარიში.

პირველი პერიოდის დასასრულს კაპუსტინმა მესამედ აიღო ფინელთა კარი.

მეორე პერიოდში ანგარიში არ შეცვლილა.

მესამე პერიოდში იაკუშევმა კიდევ უფრო გაზარდა ანგარიში, მაგრამ მალე მისმა მეტოქემ ი. პელტონენმა სხვაობა შეამცირა. ამის შემდეგ იმავე იაკუშევმა და ანისინმა დაავვირგვინეს თავიანთი გუნდის წარმატება.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 16 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	7	6	0	1	43:10	12
სსრ კავშირი	7	6	0	1	41:16	12
შვეცია	7	3	1	3	22:16	7
ფინეთი	7	2	2	3	21:27	6
პოლონეთი	7	1	1	5	17:38	3
გდრ	7	1	0	6	13:50	2



უკვე ვიტყობინებოდით, რომ ამას წინათ ბათუმში ჩატარდა სოფლის მშვილდოსანთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც რსფსრ-ს, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთისა და საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

* * *

სურათზე: ქალთა შეჯიბრების მონაწილენი ცეცხლის ხაზზე. წინა პლანზეა ამ ასპარეზობაში გამარჯვებული ლ. ბადნაჟაპოვა (სტავროპოლის მხარე).

ნ. ანასტასიევის ფოტო (საკადესი).

„ᲛᲣᲨᲙᲔᲢᲔᲠᲗᲐ“ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

სტამბული, 16 აპრილი. იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ მოიგეს ერთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი, 40 ქულა დააგროვეს და უახლოესი მეტოქეები — რუმინელი იუნიორები 11 ქულით ჩამოიტოვეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა ქალიშვილებმა — საპატიო კვარცხლბეკის ყველა საფეხური მათ დაიკავეს. ოქროს მედალი დაისაკუთრა მოსკოველმა ვ. სიდოროვამ (ბუროჩკინამ), ვერცხლისა — ყაზანელმა ო. კნიაზევამ. ბრონჯაოს მედლები მიიღეს მინსკელმა ირინა პავლენკომ და თბილისელმა ესპადრონისტმა ა. კიკნაძემ. საბჭოთა გუნდში შვიდი ქალაქის წარმომადგენლები შედიოდნენ.

ჩემპიონატი, რომელშიც 30 ქვეყნის სამასამდე ახალგაზრდა „მუშკეტერი“ მონაწილეობდა, საინტერესოდ ჩატარდა. სპეციალისტებმა იგი გამოიყენეს ახალგაზრდობის შესამოწმებლად ოლიმპიური ნაკრებისთვის და უფროს მოფარიკავეთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ივლისში საფრანგეთში ჩატარდება.

ჩემპიონატმა გამოავლინა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა სპორტსმენთა უპირატესობა: რაპირისტთა და ესპადრონისტთა შეჯიბრებებში ოქროს მედლები მიიღეს რუმინელმა იუნიორებმა ა. კუკიმ და ი. პოპმა. მედლები მოიპოვეს, აგრეთვე, უნგრეთისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა.

დაშნით მოფარიკავეთა ტურნირში გაიმარჯვა შვეიცარიელმა მ. პოფემ.

(საკადესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური წერილი

სპორტსმენის აქტანობის საკითხისთვის

სპორტული პრაქტიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბევრი ქართველი სპორტსმენი ისეთ სახეობებში, როგორიცაა ჭიდაობა (თავისუფალი, კლასიკური და ძიუდო), აგრეთვე, ფეხბურთი, წარმატებით გამოდის სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში, მაგრამ ამტანობის დონით მაინც ჩამორჩება.

განსაკუთრებით შესამჩნევია ქართველ სპორტსმენთა ჩამორჩენა იმ სახეობებში, სადაც ამტანობა მაღალი შედეგების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ამ სახეობებს ეკუთვნის რბენა საშუალო და გრძელ მანძილებზე, საგზატკეცილო ველოსპორტი, ცურვა. ყოველივე ამის გამო ისმის საკითხი: რა უნდა იყოს ამტანობის (როგორც საერთო, ისე სპეციალური) მხრივ ჩამორჩენის მიზეზი და რა გზით შეიძლება ამ ნაკლთან ბრძოლა?

როგორც ჩანს, მიზეზი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა. და, რასაკვირველია, ძნელია დაეთანხმო იმ აზრს, თითქოს სამხრეთელებს არ უყვართ ამტანობის განმავითარებელი ვარჯიშები.

სპორტული პრაქტიკის გამოცდილების განზოგადება უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ამტანობაში ჩამორჩენის მთავარი მიზეზია წვრთნის მეთოდიკაში არსებული ნაკლოვანებები. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვისების განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. სპორტსმენთა უმეტესობა ნაკლებად იყენებს სავარჯიშოდ სხვადასხვა მანძილზე რბენას, მათ შორის კროსს, ნაკლებად იყენებს სპეციალურ ვარჯიშებს ფიტულის ტყორცნით, აგრეთვე, ვარჯიშს რეზინის ამორტიზატორით, ზამბარიანი დინამომეტრებით და ა. შ. სათანადოდ არ არის გამოყენებული ერთი ბრძოლის მანძილზე სპარინგ-პარტნიორების ცვლის ხერხი.

შემდეგ, წვრთნის პრაქტიკაში თითქმის სრულიად არ იყენებენ სხვადასხვა საკონტროლო ვარჯიშსა და ტესტს, რომლებიც ხელს უწყობენ ამტანობის განვითარების დონის დადგენას. ამგვარად, საერთო და სპეციალური ამტანობის განვითარებისკენ მიმართული წვრთნის მეთოდიკის რაციონალიზაციის საკითხი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. წერილში სწორედ ამ საკითხებზე გვექნება საუბარი.

პირველ ყოვლისა უნდა ვიმსჯელოთ სპეციალური ამტანობის საკითხზე. მაგალითისთვის განვიხილოთ თავისუფალი ან კლასიკური სტილის მოჭიდავეთა წვრთნა. ხალიჩაზე საწვრთნელი შეხვედრებისა თუ შეჯიბრებების დროს ჩატარებული პედაგოგიური დაკვირვების შედეგად შეიძლება შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მოჭიდავე წარმატებით იბრძვის მთელი ბრძოლის მანძილზე, ზოგს კი წვრთნისა თუ შეჯიბრების დამამთავრებელი პერიოდისთვის უკვე დაღლილობა ეტყობა. სპორტსმენის აქტიურობა კლებულობს, ნაკლებია სიზუსტე და ჩატარებული ილეთების ეფექტურობა. შესაბამისად, პედაგოგიური დაკვირვების მარტივი, ვიზუალური მეთოდის დახმარებითაც კი შეიძლება შედარებით ზუსტად განვასხვაოთ სპორტსმენები მათი ამტანობის დონის მიხედვით. შემდეგ იმავე მოჭიდავეებს ვთავაზობთ საკონტროლო ვარჯიშის შესრულებას — რბენა 3 წუთის მანძილზე (სამჯერ) ცდებს შორის თითოწუთიანი პაუზებით (რბენის მოცემული დატვირთვა უფრო მიახლოებულია ჭიდაობის ფორმულასთან), აგრეთვე, ფიტულის სროლაში ვარჯიში 30 წამის განმავლობაში. შედეგი ასეთია: იმ სპორტსმენებს, რომლებმაც ჭიდაობის დროს მეტი ამტანობა გაიოიჩინეს, საკონტროლო ვარჯიშების შესრულებაშიც უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ. მაგრამ საკონტროლო ვარჯიშის დახმარებით მოჭიდავის სპეციალური ამტანობის დონის დადგენა ბევრად უფრო ზუსტია.

ამის შემდეგ იმავე სპორტსმენებს ვავალებთ შეასრულონ ტესტი „ამტანობაზე" — დინამომეტრს ხელი მოუჭირონ განსაზღვრული ძალით ან წინ გაწვდილი ხელით დაიჭირონ რამე ტვირთი. სავალდებულო არ არის, რომ ის სპორტსმენები, რომლებიც წინ აღნიშნული საკონტროლო ვარჯიშების შესრულებისას უფრო ამტანი აღმოჩნდნენ, სტატიკურ ვარჯიშშიც გამოირჩეოდნენ. თუ შევამოწმებთ კუნთების სხვადასხვა ჯგუფის ამტანობას, შედეგები შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი აღმოჩნდეს. ესე იგი, როცა ვამბობთ, რომ სპორტსმენს შეუძლია მაღალი შრომისუნარიანობა მთელი ბრძოლის მანძილზე შეინარჩუნოს, ამის დასამტკიცებლად ყველა ვარჯიში და ტესტი არ გამოგვადგება. ამიტომ ახლა თანდათან ვრცელდება ტერმინი: „ინფორმატული" ან „ვალიდური" ტესტი.

ჩავატაროთ ერთი დაკვირვება. მოჭიდავეებს შევთავაზოთ ჩავლებისა და მეტოქის დაჭერის ილეთების შესრულება. ზოგი ამ ილეთებს ეფექტურად გააკეთებს, ზოგი კი — ვერა. შევაჯიბროთ ეს სპორტსმენები 800 მეტრზე რბენაში. აღმოჩნდება, რომ ზოგი სპორტსმენი, რომელიც რბენის ტესტს კარგად ასრულებს, ჩავლების ილეთის შესრულებაში საჭირო ამტანობას ვერ გამოიჩენს.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სტატიკური ძალის შენარჩუნებისთვის (ეს კი აუცილებლად სჭირდება მოჭიდავეს ზემოხსენებული ილეთების შესასრულებლად) ამტანობის განვითარებაზე კონტროლის გასაწევად სპეციფიკური ტესტებია საჭირო. თუ გვინდა, რომ სპორტსმენი დაეუფლოს იერიშისა თუ დაცვის ხერხის შესრულებას როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან, მაშინ აუცილებელია წვრთნის პროცესში შესაბამისი ვარჯიშების ჩართვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის ილეთების გამოყენება ორივე მხარეს, ვინაიდან გამორიცხული არ არის, რომ მეტოქე ცაცია იყოს. გარდა ამისა, თუ სპორტსმენს შეუძლია ილეთი ორივე მხარეს ეფექტურად შეასრულოს, ეს ძალიან ამდიდრებს მის თეორიულ შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, ტესტები სპორტსმენს უნდა მივცეთ ცალ-ცალკე, მარჯვენა და მარცხენა მხარეებისთვის.

მაშ ასე, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: მოჭიდავის ამტანობა შედგენილი ცნებაა. იგი მოიცავს ზოგად ამტანობას, ესე იგი დიდი და ზომიერი სიმძლავრით ხანგრძლივად მუშაობის უნარს. ამტანობის ამ ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის საერთო შრომისუნარიანობისთვის მთელი ბრძოლის განმავლობაში, აგრეთვე, მთელი შეჯიბრების მანძილზე ძალის შენარჩუნებისთვის. როგორც მრავალრიცხოვანმა სპეციალურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, საერთო ამტანობა შედარებით კარგად გადადის სპორტის ერთი სახეობიდან მეორეში. მაგალითად, რბენით გამომუშავებული საერთო ამტანობა დიდ ურთიერთკავშირშია სათხილამურო რბოლაში, სპორტულ სიარულში, სტაიერულ მანძილებზე ციგურაობაში ნაჩვენებ შედეგებთან. ამიტომ შეიძლება ყველა ჩამოთვლილი სახეობა წარმატებით გამოვიყენოთ საერთო ამტანობის გასავითარებლად სხვა სახეობებშიც, მათ შორის — ჭიდაობაში. ბრძოლის დროს მოჭიდავეს ზოგჯერ უხდება ილეთების მთელი სერიის ზედიზედ შესრულება, ესე იგი, ძალისმიერი დაძაბულობის გამეორება. აქედან გამომდინარე, მოჭიდავისთვის აუცილებელია ამტანობა აფეთქებითი განმეორებითი მუშაობისთვის. სპორტულ პრაქტიკაში წვრთნის დროს ამ სიტუაციის მოდელირება ფიტულის სროლაში ვარჯიშის გზით ხდება.

მერსუატოვამ, იურჟინოვამ და ხორნინმ (პრაღა) შემოგვთავაზეს ტესტი, რომელშიც შედის: ა) სამოძრაო ტესტი სწრაფძალისმიერი დატვირთვით — 22-25 კგ წონის საჭიდაო მანეკენის გდება ზურგს უკან, — 10-ჯერ მაქსიმალური სისწრაფით, ბ) სამოძრაო ტესტი დატვირთვით სწრაფ და ძალისმიერ ამტანობაზე (ისევ საჭიდაო მანეკენის გდება, 4 30-წამიანი სერია 30-წამიანი ინტერვალებით), გ) დაბრკოლებებით რბენა (მალაყი წინ, ნახტომი ფეხშლით ტაიჭზე, ბაგირზე ცოცვა — 3 მ, საჭიდაო მანეკენის ხუთი გდება), დ) 12-წუთიანი ჭიდაობა ლეიბზე. პარტნიორი ყოველ სამ წუთში უნდა იცვლებოდეს.

გადავიდეთ ამტანობაზე, რომელიც შეუღლებულია სტატიკური ძალის შეკავებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ბევრად უფრო ნაკლებადაა შესწავლილი ამტანობის იმ სახეებთან შედარებით, რომლებზეც ზევით ვწერდით. მაგალითად, სასწაულო და დამხმარე სახელმძღვანელოებში თითქმის არ არის გაშუქებული სტატიკური ძალის შეკავების ამტანობის განვითარებისკენ მიმართული მეთოდიკის საკითხი, არ არის დამუშავებული საკონტროლო ვარჯიშები, რომლებიც ხელს უწყობს მოცემული თვისების განვითარების დონის გამოვლენას. ამავე დროს, ბევრი სპეციალისტი აღნიშნავს რამდენად მნიშვნელოვანია მოჭიდავეებისთვის კარგად განვითარებული სტატიკური ამტანობა. მაგალითად, ვ. ნელიუბინმა და ა. ვოლკოვმა, რომლებმაც რსფსრ-ს, სსრ კავშირისა და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში მოჭიდავეთა 502 ბრძოლის ქრონომეტრაჟი ჩაატარეს, დაადგინეს, რომ კლასიკურ ჭიდაობაში მუშაობის სტატიკური რეჟიმი დროის დაახლოებით 70 პროცენტს მოიცავს. ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საწვრთნელ პროცესში სტატიკური ხასიათის ვარჯიშის გამოყენება სასურველ გავლენას ახდენს შრომისუნარიანობის ამაღლებაზე შერკინების დროს.

ჩვენ მოცემული საკითხის შესასწავლად სპეციალური კვლევა გვაქვს დაწყებული. ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგად უკვე გვაქვს შესაძლებლობა წამოვაყენოთ რამდენიმე წინადადება ამტანობის ამ სახის განვითარების მეთოდიკის საკითხში. პირველ ყოვლისა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს თვისება მეტად სპეციფიკურია. ამიტომ მოჭიდავისთვის სტატიკური ძალის შეკავებასთან დაკავშირებული ვარჯიშების მიცემა უფრო მიზანშეწონილია იმ მდგომარეობაში, რომელშიც სპორტსმენი მათ ყველაზე ხშირად იყენებს იერიშისა თუ დაცვის თავისი ძირითადი ილეთების შესრულების დროს. ვარჯიშის შესრულებისას მიზანშეწონილია სპორტსმენმა გამოიყენოს რეზინის ამორტიზატორები, ზამბარიანი დინამომეტრები და სხვ. დატვირთვისა და დასვენების ურთიერთშეფარდების სხვადასხვა ვარიანტის შედარებისას გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტ ეფექტს გვაძლევს ვარჯიშის სამგზის შესრულება თითოწუთიანი პაუზებით.

შედეგების შეჯამებისას აუცილებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: დღეს სპორტულ პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის გაწვრთნილობის განმასაზღვრელი ამა თუ იმ მხარის „დიფერენციალურ დიაგნოსტიკას". დიაგნოსტიკა ბრჭყალებში იმიტომ ვიხმარეთ, რომ ეს ტერმინი მედიცინაში ორგანიზმის მუშაობაში ამა თუ იმ გადახრის გამოვლენას ნიშნავს. ხოლო, როცა ჯანსაღ სპორტსმენთან გვაქვს საქმე, ჩვენ ვავლენთ არა გადახრას, არამედ ამა თუ იმ თვისების განვითარების დონეს. ტესტირების შედეგების მიხედვით ისახება გეგმა, რომლის მიზანიცაა ამტანობის სხვადასხვა სახის განვითარების დონის ამაღლება.

აი, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვრთნელის პედაგოგიურ გამოცდილებასა და ცოდნას. მან უნდა მოძებნოს რაციონალური გზები ამოცანის გადაჭრისთვის, შეარჩიოს შესაბამისი საშუალებები და მეთოდური ხერხები. სისტემატურად, ჩვეულებრივ, თვეში ერთხელ, საკონტროლო ვარჯიშებისა და ტესტების დახმარებით საჭიროა არჩეული გზის ეფექტურობის შემოწმება და აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი კორექტივების შეტანა წვრთნის პროცესის შინაარსსა და მეთოდიკაში.

სწორედ ამაში მდგომარეობს ეგრეთ წოდებული „პროგრამირებული წვრთნის" აზრი.

ა. დათიაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობაში;

ი. გონაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

უთოფო და უპაგნებო მესტენდურები

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მორიგ პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიმართა, პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ციხისთავმა შარშანდელი წლის შედეგების შეჯამებისას სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნა ის წარმატებები და ხარვეზები, რომლებიც რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარებას აქვს.

მომხსენებელმა თქვა, რომ სასტენდო სროლაში შეჯიბრებების ჩატარებას ბოლო ხანებში მეტი ყურადღება ეთმობა. ამან ხელი შეუწყო საზოგადოების სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას. მონკავშირმა შარშან რესპუბლიკაში მოამზადა ერთი სპორტის ოსტატი, ორი პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების 30-მდე სპორტსმენი.

— მაგრამ ჩატარებული ღონისძიება ძალიან ცოტაა იმ დიდ საშუშაოსთან შედარებით, რასაც მონკავშირის პრეზიდიუმი და მსროლელთა სექციის ხელმძღვანელობა უნდა ეწარმოებინ სასტენდო სროლაში მაღალთანრიგოსანთა მომზადებისთვის. ჯერ კიდევ გადაუჭრელია ვაზნებით სპორტსმენების უზრუნველყოფის საქმე. დღეისთვის მონკავშირში 70 ათასამდე წევრი ირიცხება და თუ ვიანგარიშებთ, თითოეულზე ერთი ვაზნაც არ მოდის. უფრო სწორად, ამჟამად მხოლოდ 60 ათასი ვაზნა გვაქვს. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ეს ვაზნებიც სარეალიზაციოდ იყო განკუთვნილი და დიდი დავდარაბით მოხერხდა მათი გადაცემა ნაკრები გუნდის წევრებისთვის, ცხადი გახდება, რა კრიზისს განიცდიან ჩვენი მესტენდურეები, — თქვა მომხსენებელმა. — რესპუბლიკის სპორტკომიტეტის წინაშე აღძრულია საკითხი 100 ათასი სასტენდო ვაზნისა და 5 თოფის გამოყოფის თაობაზე. ახლა, როცა ჩვენი მესტენდურეები საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ემზადებიან, ეს საკითხი დროულად უნდა გადაიჭრას, რათა ნაკრები გუნდის წვრთნა ნორმალურად წარიმართოს.

ითქვა ისიც, რომ სპორტის ამ სახეობის მასობრიობის საქმეს დიდად აფერხებს სათანადო ბაზების უქმარობა. პლენუმმა დღის წესრიგში დაიყენა წილობრივი მონაწილეობით მესტენდურეთათვის სპორტული ბაზების აშენების საკითხი.

რესპუბლიკაში სპორტული თევზაობის მდგომარეობის შესახებ პლენუმზე ინფორმაციით გამოვიდა მონკავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. კალანდაძე. მან აღნიშნა, რომ ჩვენში ახლა თევზაობით, როგორც მშრომელთა მასობრივი გართობადასვენების აქტიური საშუალებით, ათასობით მოყვარულია გატაცებული. ითქვა ისიც, რომ ხშირია ბრაკონიერების მიერ ფეთქებადი და ქიმიური საშუალებებით თევზის მარაგის განადგურების შემთხვევები. შარშან, მაგალითად, მონკავშირის წევრებმა გამოაშკარავეს ასობით ბრაკონიერი, რომლებიც სათანადოდ დაისაჯნენ.

კამათის მონაწილეებმა: აფხაზეთის მონკავშირის თავმჯდომარემ გ. ნოდიამ, აჭარის მონკავშირის თავმჯდომარემ შ. მეკავანაძემ, მახარაძის რაიონის მონკავშირის თავმჯდომარემ ვ. ჯინჭარაძემ და სხვებმა ილაპარაკეს მონკავშირის ორგანიზაციებში სასტენდო სროლისა და სპორტული თევზაობის მდგომარეობაზე. აღინიშნა, რომ სოხუმში დაისახა ღონისძიება სასტენდო სროლის აღმავლობისთვის, გამოიყო ნაკვეთი ახალი სტენდის ასაგებად. ითქვა, რომ ამას წინათ მახარაძეში სასტენდო სროლაში საქართველოს თასის გათამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო მონკავშირის რესპუბლიკური და მახარაძის რაიონული კომიტეტების დიდმა მონდომებამ.

პრეზიდიუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ტულელმა ველოსიპედისტებმა უკვე დაიწყეს ტრეკზე ვარჯიში. აქ ამ სახეობის რვაასზე მეტი მოყვარული დადის. სახელგანთქმულმა ველოტრეკმა „გაზარდა" ასობით ოსტატი და ბევრი მსოფლიო ჩემპიონი.

• • •



სურათზე: პირველი საწვრთნელი მეცადინეობა.

ბ. მასლოვის ფოტო (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში


ბ. აბსავა

ა. სულაქველიძე

მ. ჩხაიძე

ი. ლეგაშვილი

გ. დგებუაძე

ბ. როსტომაშვილი

კ. სუთიაშვილი


ა. ილურიძე

მ. ცნობილაძე

ნ. მოდებაძე

საყვედური ახალგაზრდა თავდამსხმელებს

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 15 აპრილი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0 (1:0).

„ტორპედო": გაბელია, აბზიანიძე, ფიფია, ბერულავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი (ქვირია), შელია, ფესტვენიძე (ბურკაძე), ხერხაძე, გაბიჩვაძე (გაგუა).

„ურალმაში": გნილოვი, შასტინი, ზაბიშნი, ხანიკოვი, ვოიტენკო, ეურავლიოვი (კუდაშოვი), კოსშინი, იარკინი (კლიმინი), გოლუბკოვი, ხამადიევი, გრებენოფკო.

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

დუბლიორები — 0:1.

პირველი ტურის მატჩების შემდეგ ორივე გუნდს ერთნაირი ციფრები ეწერა გათამაშების ცხრილში — 3:0. მაგრამ ამ ანგარიშით ქუთაისელებმა გაიმარჯვეს, სვერდლოვსკელები კი ბაქოში დამარცხდნენ. მატჩის მსვლელობამ ცხადყო, რომ „ურალმაში" მართლაც ვერაა კარგად მომზადებული სეზონისთვის და, თუ მან მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წაადო ქუთაისში, ეს მხოლოდ იმატომ, რომ „ტორპედოს" თავდასხმელები ამჯერად მოუწდომებლად, ინერტულად თამაშობდნენ. ლაპარაკი ტორპედოელთა ახალგაზრდა თავდამსხმელებზე ფესტვენიძესა და გაბიჩვაძეზე. მათს საყვედურს არ ვიტყოდით, რომ არ ვიცნობდეთ ამ ორივე ფეხბურთელს, როგორც ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშეებს. თავიანთი შესაძლებლობანი ფესტვენიძემ და გაბიჩვაძემ ნათლად დაგვიმტკიცეს თუნდაც წინასასეზონო საკონტროლო ნატჩებში, მაგრამ ამჯერად ერთიც და მეორეც თავს არიდებდა აქტიურ ბრძოლას, „ჩრდილში" ყოფნას ამჯობინებდა და, თუ ბურთი მათთან მოხვდებოდა, იწყებოდა მისი უმიზნო, გაუთავებელი ტარება. თავდასხმის ლიდერი ხერხაძე ყოველნაირად ეცადა აეყოლიებინა ახალგაზრდა პარტნიორები, მაგრამ ამაოდ. მას ფაქტიურად მარტოდმარტო მოუხდა წინა ხაზზე ბრძოლა და, თუ ეხმარებოდა ვინმე, ეს იყვნენ ნახევარმცველები ჩახუნაშვილი, შელია, ქვირია. ტორპედოელთა მწვრთნელი იძულებული შეიქნა შეეცვალა ფესტვენიძეც და გაბიჩვაძეც.

მასპინძლებმა წარმატებას დასაწყისშივე მიაღწიეს: ჩახუნაშვილის მიერ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს დროზე მიუსწრო ხერხაძემ და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

მე-14 წუთზე „ურალმაშს" ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი შეექმნა: ტორპედოელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს გოლუბკოვი, რის გამოც დაინიშნა პენალტი. ახალგაზრდა მეკარე გაბელიამ იხსნა გუნდი და მოიგერია ხამადიევის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი.

ტაიმის დასასრულს ქუთაისელები კვლავ უტევდნენ. ხელსაყრელი მომენტები დაკარგეს გაბიჩვაძემ, შელიამ, ბოლო წუთზე კი გაბელიამ კიდევ ერთხელ გადაარჩინა თავისი გუნდი, როცა პირისპირ დარჩა გრებენოფკოსთან.

შესვენების შემდეგ ტორპედოელები კვლავ უპირატესობით თამაშობდნენ, მით უმეტეს, რომ ბურკაძემ და გაგუამ გამოცოცხლება შეიტანეს თავდასხმის ხაზში. გნილოვმა რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, ხოლო სხვა შემთხვევებში გადამწყვეტი დარტყმები უზუსტო იყო და ქუთაისელები მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას დასჯერდნენ.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ასე დამთავრდა: „პამირი" (დუშანბე) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:3, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „დინამო" (მინსკი) 1:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 4:2, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 3:1, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 3:3 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0).

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

● ●

სპასკი — კარპოვი 1:0 (1 ყაიმი)

ლენინგრადი, 15 აპრილი. II პარტიაში ბ. სპასკის პირველი სვლა e2—e4 იყო. ა. კარპოვმა პასუხად შავებით c7—c6 ითამაშა. მეტოქეებმა კარო-კანის დაცვა გაითამაშეს. დებიუტიდან თეთრებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ შავების მდგომარეობა საკმაოდ მტკიცე იყო. თავისი მე-17 სვლის შემდეგ სპასკიმ ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. კარპოვმა წინადადება მიიღო.

მატჩში კვლავ სპასკია წინ — 1:0 (1 ყაიმი). III პარტია 17 აპრილს შედგება.

სპასკი — კარპოვი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. ∅c3 de 4. ∅:e4 ♗f5 5. ∅g3 ♗g6 6. ♘f3 ♘d7 7. ♗d3 e6 8. 0—0 ♘gf6 9. c4 ♗d6 10. b3 0—0 11. ♗b2 c5 12. ♕:g6 hg 13. ♖e1 ♖c7 14. dc ♕:c5 15. ♖c2 ♖fd8 16. ∅e4 ∅:e4 17. ♖:e4. ყაიმი.

● ●

პეტროსიანი — კორჩნოი 0:1 (1 ყაიმი)

ოდესა, 15 აპრილი. ისევე როგორც ლენინგრადში, II პარტია ოდესის ნახევარფინალურ მატჩშიც ყაიმით დამთავრდა.

მეტოქეებმა ლაზიერის პაიკთა დებიუტი გაითამაშეს. ტ. პეტროსიანმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, პარტიის დასაწყისში საგრძნობი უპირატესობა ვერ მიიღო. შემდეგ დაიწყო გაცვლები, რამაც პოზიცია გაამარტივა. შავების 31-ე სვლისთვის მეტოქეთა შანსები დაახლოებით თანაბარი აღმოჩნდა. ამ დროს ვ. კორჩნოიმ მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიიღო წინადადება.

კორჩნოი ისევ ლიდერობს ამ მატჩში — 1:0 (1 ყაიმი). შემდეგი პარტია 17 აპრილს შედგება.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

14 აპრილი. I ტური.

„მერცხალი" (მახარაძე) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 4:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0), „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „ისკრა" (სმოლენსკი) 2:1, „დინამო" (ზუგდიდი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „ურალანი" (ელისტა) 4:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0), „დინამო" (კიროვაბადი) — „ხიმიკი" (ნოვოროსკოვსკი) 2:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 0:2, „ლორი" (კიროვაკანი) — „დინამო" (ვოლოგდა) 0:1, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 0:2.

I ლიგა

ასკ-ის ოქროს ბურთი

ასკ (დონის როსტოვი) — „ტორპედო" (ბარნაული) 2:0. მსაჯი ბ. ბეზალელი (ბაკურიანი).

ასკ: ბ. ბ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილ სიმღერა

როგორც იქნა, დრო გამოვნახეთ და დავითს აგარაკზე ვესტუმრეთ. პირველი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ დავითმა ოთახში მიგვიწვია და მოქმედების სრული თავისუფლება მოგვცა.

— თავი ისე იგრძენით, როგორც შინ, — გაგვიღიმა მან, — მე მალე დავბრუნდები...

იგი თავისი მეხუთეკლასელი ბიჭის ზურიკოს მოსაძებნად წავიდა, ხოლო მე და ელგუჯა აივანზე გამოვედით და გარემოს გადავხედეთ. პატარა ეზო დავითს სპორტულ მოედნად გადაეკეთებინა: კალათბურთის ფარი, ღერძი, რგოლები და წრე ბირთვის კვრაში სავარჯიშოდ. მთელ ამ სპორტულ კომპლექსში და იარაღებში ჩქეთვის ყველაზე უცხო ხილი ბირთვი იყო. მიუხედავად ჩემი დიდი ერუდიციისა სპორტში, რაც სხვადასხვა სახის საინფორმაციო არხებით მქონდა ძიღებული, უნდა გამოვტყდე, რომ ნატურალურ ბირთვს პირველად ვხედავდი. აეღელდი. ამ ცდუნებას ვინ გაუძლებდა!

პირველი კვრა — ბირთვი თორმეტ მეტრს იქით დაეცა.

— ყოჩაღ! — შემაქო ელგუჯამ. — დაიცა, ასე ვის გაუგია ბირთვის კვრა? მხარზე დაიდე ხელის მტევანი და რაც შეიძლება ძლიერი ბიძგი გააკეთე მთელი ტანით.

ბირთვი თოთხმეტ მეტრზე გაფრინდა.

— ბიჭოს?! — გაიკვირვა ელგუჯამ. — შენში, ჩემო ძმაო, მძლეოსნის ტალანტი იმალება თურმე. აბა, ახლა ასე სცადე...

მან ბირთვი გამომართვა და პირველი გაკვეთილი ჩამიტარა.

ბირთვის კვრის ტექნიკა ყოველ ცდაზე იხვეწებოდა, ხოლო შედეგი ფანტასტიკურად იზრდებოდა. სპორტმა ისე გაგვიტაცა, რომ ჩვენი გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

— გაიხადე ხალათი, ხელს გიშლის, — მირჩია ელგუჯამ და შედეგიც წამსვე გაუმჯობესდა: ბირთვი თხუთმეტ მეტრზე შორს გაფრინდა.

მერე შარვალი აივნის მოაჯირზე გადავკიდე — თექვსმეტი მეტრი! ფეხსაცმელი განზე მოვისროლე — ჩვიდმეტი მეტრი!

— არა, არა, — ხელი გაასავსავა ელგუჯამ, როცა დაინახა, რომ მაისურის გახდას ვაპირებდი. — ეგ და მაგისი ამხანაგი ხელს არ გიშლის! ახლა კი გამომიტყდი: ხომ დადიოდი მძლეოსნობის სექციაში? კაცმა რომ შეგხედოს, განსაკუთრებული ღონის პატრონი არ ჩანხარ, მაგრამ, გეტყობა, დიდი იმპულსური ძალა გაქვს.

— გეფიცები, დღემდე ბირთვი ხელში არ ამიღია!

— მაშ შენ, ჩემო ძმაო, თვითნაბადი ოქრო ყოფილხარ. სიმაღლე ასოთხმოცი სანტიმეტრი გაქვს, არა? აი, წონა კი ას კილოგრამამდე უნდა აიყვანო, კარგი მასა ძალიან საჭიროა. ასეთი ტემპით თუ წახვალ წინ, მალე საკავშირო რეკორდი ჯიბეში გექნება.

როგორც იქნა! ძლივს არ ვიპოვე ჩემი მოწოდება? თუმცა გვიან, მაგრამ მაინც ხომ ვიპოვე? ახლა ხომ უფრო დიდი ნებისყოფა მაქვს, ვიდრე, ვთქვათ ამ ათი წლის წინათ. ახლა მეც ვიმღერებ ჩემს „გედის სიმღერას“ დიდ სპორტში. ყოველდღე ვიმეცადინებ, ცხრაპირ ტყავს გავიძრობ, დღეში ოთხ-ხუთ საათს ვივარჯიშებ და მივაღწევ იმას, რომ გავხდები ქალაქის ჩემპიონი, რესპუბლიკაში პირველი ბირთვის მკვრელი, გავიმარჯვებ სპარტაკიადაში.

...მე მივფრინავ მონრეალში.... ოლიმპიურ თამაშებზე! ვდგავარ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე...

...დავითი და ზურიკო რომ დაბრუნდნენ, მე უკვე დიდების მწვერვალზე ვიყავი.

— მოდი აქ, დავით! — მოვიხმე მასაინძელი. — როგორც ვატყობ, დიდი ხანია ბირთვის კვრითა ხარ გატაცებული. რამდენ მეტრზე მიფრინავს შენი ბირთვი?

— თხუთმეტ-თექვსმეტ მეტრზე.

— მაშ გიწვევ მატჩ-ტურნირში! დავარტყათ ხუთ-ხუთი პენ.... მოკლედ, ხუთ-ხუთი ცდა გავაკეთოთ.

დავითმა გაკვირვებით შეხედა ელგუჯას, მხრები აიჩეჩა და ფარდულისკენ წავიდა.

— სად მიდიხარ?

— ბირთვს გამოვიტან.

— მაშ ეს რა არის? — ბირთვზე მივუთითე მე და გულში უცნაური გრძნობა შემეპარა.

— ეს? ჰანტელი გადატყდა შუაში და თავი მოვახერხე. კილონახევარია. ზურიკო ჯერჯერობით ამით სწავლობს ბირთვის კვრის ტექნიკას. რა თვალებდაჭყეტილი მიყურებ? აბა, ნახევარფუთიან ბირთვს ხომ არ მივცემდი ბავშვს სავარჯიშოდ?

მე ელგუჯას გადავხედე. იგი განზე იყურებოდა, ვითომც აქ არაფერიაო, და სიცილს ძლივს იკავებდა.

გოდერძი ტალახაძე.

გ. იაშვილის ნახატი.



რა არის „ბაგი“? ეს გახლავთ საოცარი სპორტული მანქანა, რომელშიც შერწყმულია საბარგო მანქანის, მსუბუქი ავტომობილისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოტოციკლის საუკეთესო თვისებები. შეჯიბრების ტრასაზე „ბაგის“ შეუძლია იაროს ორ ბორბალზე, შეასრულოს „ნახტომები“, გადაბრუნდეს და ისევ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდეს. „ბაგი“ დაიბადა, როგორც ზღვის სანაპიროზე სასეირნო მანქანა, მაგრამ მერე სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მრბოლელთა შორის. „ბაგით“ შეჯიბრებები ძალიან გავრცელებულია ჩეხოსლოვაკიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

ეს სურათი გადაღებულია მოსკოვში, მდინარე მოსკოვის მაღალ ნაპირზე, მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გამართული შეჯიბრების დროს. ტრასაზეა ლენინგრადელი სპორტსმენი, პირველთანრიგოსანი ე. ლევინი.

ა. კოვტუნის ფოტო. (საკადრო).

10 გუნდი ინგლისში?

თვით კონსერვატორი ინგლისელებიც კი ეძებენ ახალ გზებს კლუბებისა და ეროვნული ნაკრების თამაშის დონის ასამაღლებლად.

ახლა ინგლისური პრესა იხილავს წინადადებას ინგლისის I ლიგაში გუნდების რაოდენობის 22-დან ათამდე შემცირების შესახებ. თუ ეს წინადადება გავდა, 10 უძლიერესი გუნდი ერთმანეთს ოთხ წრედ შეხვდება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

19 აპრილს

ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის საქტო დარბაზში შედგება საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი ქართველი მთამსვლელების დაჯილდოებისადმი მიძღვნილი სხდომა.

დასაწყისი 19 ს.

ფეხბურთის ყველაზე ძლიერი

დღეს და 24 აპრილს

რუმინეთის ნაკრები სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებს გაუწევს სპარინგ-პარტნიორობას.

დღეს რუმინელები სან-პაულოში შეხვდებიან მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს, ხოლო 24 აპრილს ბუენოს-აირესში — არგენტინის ნაკრებს.

ირლანდიელები არ ითამაშებენ

როგორც უეფა-ს სამდივნოს ცნობაშია ნათქვამი, „ახალგაზრდულ გუნდებს შორის (23 წლამდე) ევროპის მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ირლანდიის რესპუბლიკამ.

ირლანდიელებს უნდა ეთამაშათ VI შესარჩევ ჯგუფში, სადაც საბჭოთა და თურქი ფეხბურთელები გამოვლენ.

ნოვგოროდელები მტკვარზე

აზერბაიჯანის სსრ. წლეულს სსრ კავშირის აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატთა ნაკრები ბევრ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ. სეზონის მთავარი ასპარეზობა იქნება მსოფლიო ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში, რომელიც პირველად ტარდება.

* * *

სურათზე: მტკვარზე ვარჯიშობენ ნოვგოროდის „სპარტაკის“ ქალები, ევროპისა და სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონები ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავებით აკადემიურ ნიჩბოსნობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. ბისტროვა, ვ. რუბცოვა, ნ. ფილატოვა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვ. ალექსეევა და მესაჭე ნ. ფროლოვა.

ი. ხალილოვის ფოტო.

ევროპის ჩემპიონატი

აფრიკის ჩემპიონთა დაჯილდოება

ყინშასაში „20 მაისის სტადიონზე“ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებისა და აფრიკის ჩემპიონების — ზაირის ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონია.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა მობუტუმ ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — „ლეოპარდის ეროვნული ორდენის რანდი“ გადასცა 22 ფეხბურთელს, გუნდის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელ ვიდინიჩს (იუგოსლავია).

ბოშკოვი ჰოლანდიაში

იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბოშკოვი აღარ განაახლებს კონტრაქტს ნოვი-სადის „ვოივოდინასთან“, სადაც იგი წარმატებით მუშაობს ბოლო წლების მანძილზე. ბოშკოვმა ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ჰოლანდიის პირველი ლიგის კლუბ „ჰაგასთან“.

ფაბრი — „ტორინოში“

ერთ შემდეგ, რაც „ტორინომ“ მარცხი იწვნია უეფა-ს თასის გათამაშებაში და ვერც იტალიის ჩემპიონატში მიაღწია კარგ შედეგს, მწვრთნელ ჯიანნინის გუნდთან გამოთხოვება მოუხდა.

„ტორინოს“ მწვრთნელად დაინიშნა იტალიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ე. ფაბრი.

ევროპის პირველობა მოყვარულთა შორის

25-28 აპრილს რიეკაში (იუგოსლავია) გაიმართება ევროპის პირველობის ფინალი მოყვარულთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მხოლოდ იმ ქვეყნების გუნდები, სადაც პროფესიული ფეხბურთი ოფიციალურადაა დაკანონებული.

ფინალში ითამაშებენ ესპანეთის, ჰოლანდიის, იუგოსლავიისა და გფრ-ის გუნდები.

ორ ფრონტზე

ავსტრიის ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ საბოლოოდ მიღწეულია შეთანხმება გფრ-ის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის შესახებ, რომელიც 1 მაისს შედგება მაინის ფრანკფურტში. ამავე დღეს ამ ქვეყნების მეორე ნაკრები გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან კოლში. შვედების ნაკრების მწვრთნელმა ერიქსონმა განაცხადა, კოლის მატჩში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის რამდენიმე კანდიდატს გამოცდიო.

19 აპრილს

ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის საქტო დარბაზში შედგება საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი ქართველი მთამსვლელების დაჯილდოებისადმი მიძღვნილი სხდომა.

დასაწყისი 19 ს.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ხელგურთი. კიროვის სახ. პარკის მოედანი. **17-21 აპრილი.** „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ქალთა გუნდების საკავშირო პირველობა. დღეს: „კოლოსი“ (ბერეგოვო) — „ბურევესტნიკი“ (ერევანი). დასაწყისი 12 ს. „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე). 13 ს. 10 წთ. „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) — „შვიესა“ (ვილნიუსი). 14 ს. 20 წთ. „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). 15 ს. 30 წთ. ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის დარბაზი. **17 აპრილი.** ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 15 ს.

კალათბურთი. კალინინისა და 26 კომისრის რაიონების სპორტსკოლების დარბაზები. **17-24 აპრილი.** ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 15 ს.

ფეხბურთი. „სინათლის“ სტადიონი. ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. **18 აპრილი.** პირველი მაისის რაიონი — ლენინის რაიონი. დასაწყისი 14 ს. **26 კომისრის** რაიონი — ოქტომბრის რაიონი. 15 ს. 30 წთ. კიროვის რაიონი — კალინინის რაიონი. 17 ს. ორჯონიკიძის რაიონი — საქარხნო რაიონი. 18 ს. 30 წთ.

წყალბურთი. „ლოკომოტივის“ აუზი. **17-22 აპრილი.** ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 15 ს.

ჭადრაკი. „ბურევესტნიკის“ საჭადრაკო კლუბი. **17 აპრილი.** ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 15 ს. 30 წთ.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02550